ევროკავშირი საქართველოსთვის

EaP Eastern Partnership

DEP Development and Engagement Platform

განვითარებისა და ჩართულობის პლატფორმა

მხარდაჭერითი დასაქმების გზამკვლევი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის

მომზადებულია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში

თბილისი 2023



წინამდებარე გზამკვლევი მომზადებულია განვითარებისა და ჩართულობის პლატფორმის მიერ, პროექტის "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების დასაქმების მხარდაჭერა" ფარგლებში, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროგრამის დაფინანსებით.

წინამდებარე გზამკვლევი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან ავტორები და შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

© ავტორები: ანუკი ჯანელიძე; ლიკა მარტიაშვილი

შესავალი

ქვეყნის უზენაესი კანონით - კონსტიტუციით, ნათქვამია, რომ სახელმწიფო მოქალაქეების დასაქმებაზე უნდა ზრუნავდეს, ეს საკითხი სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტითაც რეგულირდება. კონსტიტუცია სახელმწიფოს იმასაც ავალდებულებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის განსაკუთრებული გარემო შექმნას.



ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ***შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია,*** რომელსაც საქართველო 2014 წელს შეუერთდა. ამ კონვენციით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზება, შეუქმნას მათ ინკლუზიური, ღია და მისაწვდომიშრომითი ბაზარი და სამუშაო გარემო.

საქართველოში, ასევე 2014 წელს ამოქმედდა ***კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ''***. ეს აქტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს იცავს ნებისმიერი სახის, მათ შორის, დასაქმების პროცესში და სამუშაო ადგილზე არსებული დისკრიმინაციისგან. კანონი ამბობს, რომ "სახელმწიფო, გონივრული მისადაგების უზრუნველსაყოფად იღებს ყველა შესაძლო ზომას. გონივრულ მისადაგებაზე უსაფუძვლო უარი კი აგრეთვე დისკრიმინაციად ჩაითვლება"

2020 წელს მიღებული ***კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ"*** არის დიდი ნაბიჯი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მიმართულებით. ის თავისი შინაარსით სახელმწიფოს კიდევ უფრო მკაცრად და მკაფიოდ განუსაზღვრავს, რა როლი უნდა იკისროს შშმ პირების კეთილდღეობისთვის. აღნიშნულ კანონში ვკითხულობთ: „სახელმწიფო ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღია ბაზარზე სხვებთან თანაბარ პირობებში დასაქმების შესაძლებლობის შექმნას, მათ შორის, ამ მიზნის მისაღწევად დროებითი ღონისძიებების გამოყენების გზით. სახელმწიფო ხელს უწყობს დასაქმების სფეროში ისეთი პროგრამების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თვითდასაქმებას და მათ მიერ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებას.''

2020 წელს სახელმწიფომ მიიღო ***კანონი "დასაქმების ხელშეწყობის შესახებ".*** ამჯერად, ეს დოკუმენტი ადგენს, რომ სახელმწიფომ დასაქმების უფლება მხოლოდ კონსტიტუციის ჩანაწერით კი არ უზრუნველყოს, არამედ რეალურად იდგეს სამუშაოს მაძიებლების გვერდით. კანონმა განსაზღვრა, კონკრეტულად რა პოლიტიკური ნაბიჯები უნდა გადადგან სახელმწიფო ინსტიტუტებმა, რომ საქართველოს მოქალაქეებს დასაქმება გაუადვილდეთ, განვითარდეს თავისუფალი მეწარმეობა, კონკურენცია და ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქისთვის სახელმწიფო პროგრამები თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი. 2020 წელს შეიქმნა „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო'', რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა.

რა მექანიზმები არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობისათვის?

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობისათვის საერთაშორისო მასშტაბით სხვადასხვა მექანიზმი არსებობს. ერთ-ერთი ეფექტური გზა არის **მხარდაჭერითი დასაქმება**.

მხარდაჭერითი დასაქმების კონცეფცია მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებს მხარი დაუჭიროს ღია შრომის ბაზარზე ანაზღაურებადი დასაქმების პროცესში.

რამდენიმე წელია, მხარდაჭერითი დასაქმების მოდელი საქართველოშიც არსებობს და ძირითადად, ევროპულ გამოცდილებას ეფუძნება, როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო დონეზე. ამავდროულად, მზარდია იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ.

გზამკვლევის მიზანია ინფორმაციის გაზიარება საქართველოში შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით არსებული სერვისების შესახებ.

შშმ პირთა მხარდაჭერითი დასაქმების სერვისები საქართველოში

1

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო (SESA) წარმოადგენს სამთავრობო უწყებას, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურაა. ფუნქციონირებს 2020 წლიდან და ახორციელებს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებს.

სააგენტოს მიზანია: სამუშაოს მაძიებლებისათვის დასაქმების შესაძლებლობის გაზრდა და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარება.

მხარდაჭერითი დასაქმების მიმართულება, რომელიც განკუთვნილია მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფებისთვის სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

- **კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა** - სამუშაოს მაძიებელ შშმ პირთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით სტაჟირების პროგრამაში ჩართვა, რაც გულისხმობს დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ ვაკანტურ სამუშაო ადგილზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება/სწავლას შემდგომი დასაქმების მიზნით; სტაჟირების მაქსიმალური ხანგრძლივობა გამისაზღვრება დამსაქმებელთან შეთანხმებით და იგი არ აღემატება 6 (ექვს) კალენდარულ თვეს; სტაჟირებაზე გაგზავნილი მოსარგებლეებისთვის გაიცემა სახელმწიფო სტიპენდია, თვეში 200 ლარის ოდენობით ერთ მოსარგებლეზე, დისტანციური სტაჟირების შემთხვევაში თვეში 100 ლარით. სტაჟირების დასრულების შემდგომ დამსაქმებელი შერჩევის საფუძველზე უფორმებს შრომით ხელშეკრულებას მინიმუმ ერთ სტაჟიორს, არანაკლებ 6 თვის ვადით.

- **პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა** - სააგენტო სრულიად უფასოდ უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთათვის პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიან და გრძელვადიან კურსებს.

- **შრომის ანაზღაურების სუბსიდირების პროგრამა** არის ისეთი დასაქმება, როდესაც დამსაქმებელი იღებს მატერიალურ სარგებელს - შრომის ანაზღაურების სუბსიდიას სამუშაოს მაძიებლის დასაქმების მიზნით. დამსაქმებელი სამუშაოს მაძიებელს შრომით ხელშეკრულებას უდებს არანაკლებ 9 თვის ვადით. შრომის ანაზღაურების სუბსიდირება არის დასაქმებულის შრომის ანაზღაურების 50%-ით დაფინანსება, თვეში არაუმეტეს 560 ლარისა. დასაქმებულს ეს სუბსიდია ეძლევა არაუმეტეს 3 თვის ვადით.

- **დაცული სამუშაო ადგილის სუბსიდირება** გულისხმობს დამსაქმებლის მიერ ისეთი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც შშმ და სსსმ პირისთვის არის ადაპტირებული; სააგენტო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე უზრუნველყოფს დამსაქმებლის სუბსიდირებას დაცული სამუშაო გარემოს ადაპტირებისთვის საჭირო თანხით , არა უმეტეს 50%-ისა.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს პროგრამაში რეგისტრაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ ვებგვერდს worknet.moh.gov.ge

რეგისტრაციის შემდგომი მომსახურებების მიღება მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების დახმარებით შესაძლებელია თბილისსა და რეგიონებში შემდეგ მისამართებზე:

სააგენტოს სათაო ოფისი: თბილისი. მ.ასათიანის 9. ტელ :15 05 ან 032 239 53 06

თბილისის სერვისცენტრები:

- დავით აღმაშენებლის გამზირი N140 ა
- დავით სარაჯიშვილის გამზირი N1
- ადამ მიცკევიჩის ქ. N23
- მოსკოვის გამზირი N25

სააგენტოს რეგიონული სერვისცენტრები:

- იმერეთი, ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. N40
- აჭარა, ბათუმი, გალაკტიონ ტაბიძის ქ. N18
- გურია, ოზურგეთი, ილია ჭავჭავაძის N19
- სამეგრელო, ზუგდიდი, შოთა რუსთაველის ქ. N79
- შიდა ქართლი, გორი, გმირების ქ. N18

- ქვემო ქართლი, რუსთავი, მეგობრობის გამზირი N1
- კახეთი, თელავი, დავით აღმაშენებლის ქ. N41ა

2

ასოციაცია ანიკას ,,შშმ პირთა მხარდაჭერითი დასაქმების, ეკონომიკური გაძლიერების და კეთილდღეობის პროგრამა *"Be Your Best Self"*

ასოციაცია „ანიკა" 1997 წელს დაარსდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლების მიერ. ასოციაცია „ანიკა"-ს მისიაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და პირობების შექმნა, ღირსეული და დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველყოფა.

ასოციაცია "ანიკას" ერთ-ერთ წარმატებულ და ინოვაციურ პროექტს წარმოადგენს **,,შშმ პირთა მხარდაჭერითი დასაქმების, ეკონომიკური გაძლიერების და კეთილდღეობის პროგრამა "Be Your Best Self",** რომელიც ხორციელდება 2017 წლის ივლისიდან დონორი ორგანიზაციის, მსოფლიო ებრაელთა ფონდის (დიდი ბრიტანეთი), ფინანსური მხარდაჭერით და **ფუნქციონირებს თბილისში.**

პროგრამის სამიზნე ჯგუფია: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახები. ასევე, საქართველოს ღია შრომის ბაზარზე წარმოდგენილი დამსაქმებელი კომპანიები.

პროგრამის მიზნებია:

- მონაწილეთა მომზადება ღია შრომის ბაზრისთვის დასაქმებისთვის საჭირო
- უნარების განვითარების გზით;
- მონაწილეთა მხარდაჭერა გრძელვადიანი და ანაზღაურებადი სამუშაოს ძიებაში;
- დასაქმება და მხარდაჭერის გაგრძელება დასაქმების ადგილზე;
- დამსაქმებელთა მხარდაჭერა და ცნობიერების ამაღლება.

პროგრამაში ჩართვიდან თითოეულ მონაწილესთან იწყება ინდივიდუალური მუშაობა, რომელიც შედგებაეტაპებისგან. მონაწილესთან მუშაობას იწყებენ მხარდაჭერითი დასაქმების სპეციალისტები და ფსიქოთერაპევტი. ხდება პირველადი შეფასება და იქმნება სამოქმედო გეგმა. შესაბამისი ინსტრუმენტებით ხდება მუშაობა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. ტარდება ტრენინგები დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების, ინტერპერსონალური და თვითშეფასების უნარების განვითარების მიმართულებით. მათ, ვისაც პროფესიული განათლების საჭიროება და სურვილი აქვს, პროგრამა ეხმარება კარიერის დაგეგმვასა და შესაბამისი პროფესიის არჩევაში, მის მოსინჯვასა და შემდეგ უკვე პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხვაში.

პარალელურად, მიმდინარეობს კომპანიებთან თანამშრომლობისა და ვაკანსიების მოძიების პროცესი. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ანიკას დასაქმების პროგრამა დამსაქმებელს სთავაზობს ვაკანსიისთვის შესაფერის კანდიდატს, რომელიც კომპეტენტურია კონკრეტული

პოზიციისთვის და გამორიცხავს ქველმოქმედებას ამ მიმართულებით. პროგრამა, გარდა იმისა, რომ შუამავლის როლს ასრულებს სამუშაოს მაძიებელსა და დამსაქმებელს შორის, კომპანიებს სთავაზობს სამუშაო სივრცის (როგორც ფიზიკური, ისე სოციალური) მომზადების მიმართულებით კონსულტაციებს. ასევე, აწარმოებს მონიტორინგს და მხარს უჭერს დასაქმებულს დასაქმებიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში.

პროგრამა ხელს უწყობს სამუშაოს მაძიებელი შშმ პირების ინფორმირებას მათთვის საჭირო სერვისების შესახებ, სხვადასხვა სასწავლო პროგრამასა თუ ტრენინგში მონაწილეობის ხელშეწყობას.

პროგრამაში ჩართვის მსურველ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს შეუძლია გაიაროს ონლაინ რეგისტრაცია ბმულზე ან მიმართოს ასოციაცია ანიკას:

ტელ: +995 32 269 45 91

მისამართი: ცოტნე დადიანის ქუჩა, N136, თბილისი

ვებგვერდი: www.anika.ge

3

განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი (EDEC)

განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს დაარსებიდან დღემდე საქართველოს მასშტაბით განხორციელებული აქვს 60-ზე მეტი პროექტი ეკონომიკური განვითარების, სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, განათლებისა და ბავშვთა დაცვის მიმართულებებით, რომლითაც 90 000-ზე მეტმა პირმა ისარგებლა. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს მთავრობასთან, ბიზნეს სექტორსა და მედიასთან, რათა გააუმჯობესოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გააქტიუროს თემის ჩართულობა, ხელი შეუწყოს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებასა და საქართველოში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების შექმნას. კერძო, საჯარო თუ საერთაშორისო სტრუქტურებთან ნაყოფიერი თანამშრომლობით, გამჭვირვალე საკადრო პოლიტიკით, ინოვაციური მიდგომებითა და წარმატებით განხორციელებული პროექტებით, ორგანიზაცია ქვეყნის მასშტაბით საიმედო პარტნიორის იმიჯით სარგებლობს.

ევროკავშირის დაფინანსებითა და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი საქართველოს ექვს რეგიონში ახორციელებს პროექტს **“LEARN“ - სწავლა, წვრთნა, მიღწევა და კავშირების დამყარება დასაქმებისთვის! (ისწავლე დასაქმებისთვის!)”**

პროექტის მიზანი: განათლებიდან შრომის ბაზარზე ეფექტური გარდამავალი მოდელის პოპულარიზაცია, რომელიც ხელს უწყობს დასაქმების გაზრდას, სოციალურ ინტეგრაციას, სიღარიბისა და მოწყვლადობის დონის შემცირებას.

სამიზნე ჯგუფი:

- მოწყვლადი ახალგაზრდები
- იძულებით გადაადგილებული პირები
- სამუშაო გამოცდილებისა და გადამზადების არ მქონე პირები
- პირები კარიერული წყვეტით
- სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები

პროექტის ფარგლებში, სამუშაოს მაძიებლები მიიღებენ ცოდნას და გაიუმჯობესებენ შრომის ღია ბაზარზე სამუშაოს ძიების უნარებს, ჩაერთვებიან პროფესიული მომზადება გადამზადებისა და სამუშაოზე მიმაგრებული სწავლებისა და სტაჟირების პროგრამებში, რომელთა მინიმუმ 50% დასაქმდება.

პროგრამაში ჩართვის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია ვებგვერდზე: www.edec.ge

ან მომსახურებისთვის მიმართონ ცენტრებს შემდეგ მისამართებზე:

- **ქუთაისი,** პ. ინგოროყვას N64
  551 18 18; 70 558 18 83 36
  info@edec.ge
- **გორი,** სტალინის ქ. N18
  598 61 30 58; 598 25 05 12
  info@edec.ge
- **ბათუმი**, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N70/72
  422 24 78 83; 422 24 78 84
  dasaqmebis.saagento@gmail.com
  hrajara.gov.ge
- **ოზურგეთი,** რუსთაველის ქ. N4
  598 777 044; 591 015 323
  gyrc.org.ge
  jobsguria@gmail.com
- **ამბროლაური,** დ. აღმაშენებლის N24
  598 244 789; 511 110 184
  www.aic.org.ge.
  aicinfo2022@gmail.com
- **თელავი,** დავით რექტორის N8
  597 15 09 63; 555 90 28 28
  telavi.center@gmai.com

4

პროექტი "ESCape" – „დასაქმება, მხარდაჭერა, კონსულტირება, შრომის ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად"

პროექტი „დასაქმება, მხარდაჭერა, კონსულტირება შრომის ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად" დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს კონსორციუმი, რომლის შემადგენლობაში არიან:

- ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს ოფისი (FES Georgia)
- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო (SESA)
- დემოკრატიის განვითარების სააგენტო (DDA)
- განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი (EDEC)

პროექტის მიზანია: დასაქმების და შრომისუნარიანობის ხელშეწყობა სამიზნე რეგიონებში **(სამიზნე არეალია: თბილისი და 6 რეგიონი: აჭარა, იმერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, სამეგრელო, შიდა ქართლი).** ამ მიზნის მისაღწევად პროექტი ითვალისწინებს ერთის მხრივ, დასაქმების სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და დასაქმების მხარდაჭერის სახელმწიფო სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების გზით, ხოლო მეორეს მხრივ, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას შრომის მაძიებლებისათვის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რაც მათ კომპეტენციებს და უნარებს აამაღლებს და რეალური დასაქმების პერსპექტივებს გააჩენს. პროექტი ხელს უწყობს შრომისუნარიანი ადამიანური რესურსის გააქტიურებას და ჩართვას შრომის ბაზარზე, ეხმარება იმ ჯგუფებს, რომლებსაც უძნელდებათ დასაქმების გზაზე არსებული დაბრკოლებების დამოუკიდებლად გადალახვა.

პროექტის სამიზნე ჯგუფები:

- შშმ პირები
- ძალადობის მსხვერპლი პირები
- მარტოხელა მშობლები
- პენსიონერები
- ადამიანები ხანგრძლივი სამუშაო წყვეტით
- ადამიანები, რომელთაც არ აქვთ სამუშაო გამოცდილება ან არ არასოდეს ჩართულან საგანმანათლებლო პროცესში

პროექტის "ESCape" ფარგლებში შეიქმნა დასაქმების ხელშეწყობის სამი ცენტრი, ორი თბილისში და ერთი ქუთაისში. თითოეულ ცენტრში სპეციალურად გადამზადებული დასაქმების კონსულტანტები სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობენ კარიერის ინდივიდუალურ დაგეგმვას, ხელს უწყობენ მათ პროფესიულ გადამზადებას, სტაჟირებას და დასაქმებას.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაიარონ ონლაინ რეგისტრაცია: https://bit.ly/418bANc

მიწერონ დასაქმების ხელშეწყობის ცენტრებს **Facebook** გვერდზე:

https://www.facebook.com/EUEscape

ან მიმართონ შემდეგ მისამართებზე:

თბილისი: დავით გურამიშვილის გამზირი N66ა; ტელ: 577126199

თბილისი: ნავთლუღის ქ. N33; ტელ: 577126190

ქუთაისი: ნიუპორტის ქ. N19; ტელ: 577126141

5

სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები (LESC)

„უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის" არის საქართველოში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სამწლიანი პროექტი, რომელსაც ერთობლივად ახორციელებენ:

- „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი"(CSRDG)
- „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი"
- „საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია".

პროექტის მიზანი: რეგიონის სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება რეგიონებში არსებული ადამიანური რესურსების მოზიდვითა და განვითარებით. პროექტის ფარგლებში გურიის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში შეიქმნა სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის 6 ცენტრი, სადაც სამუშაოს მაძიებელები იღებენ მათთვის საჭირო მომსახურებას:

- სწავლება
- გადამზადება
- კარიერის დაგეგმვის კონსულტაციები
- დახმარება პოტენციურ დამსაქმებელებთან დაკავშირებასა და დისტანციურად დასაქმების შესაძლებლობების აღმოჩენაში.
- ტრენინგები დასაქმებისათვის საჭირო უნარ - ჩვევების გასაძლიერებლად

ცენტრების მიზანია:

- დაეხმაროს ნებისმიერ მსურველს ნიჭისა და შესაძლებლობების შეფასებაში
- პროფესიული ცოდნის შეძენასა და დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების
- გამომუშავებაში
- პოტენციურ დამსაქმებელებთან კომუნიკაციასა და დისტანციურად დასაქმების
- შესაძლებლობების აღმოჩენაში
- საჭირო ტრენინგზებზე გადამისამართებაში,რომელიც ტარდება ოთხი მიმართულებით:

» კურსი საკუთარი ბიზნესის წამოწყების მსურველებისთვის;

» დასაქმებისთვის საჭირო უნარების კურსი;

» საოფისე პროგრამების კურსი;

» კურსი ფრილანსერობით/დისტანციურად დასაქმებით დაინტერესებულებისთვის;

პროექტში მონაწილეობის მისაღებად მსურველებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ბმულზე ან მიიღონ მომსახურება სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრებში:

გურია:

- ქ.ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა N3

571094949; 557923579
ypuozurgeti.lesc@gmail.com

- ქ. ჩოხატაური, გოგიბერიძის ქუჩა N7

555022935; 577594659
ypuchokhatauri.lesc@gmail.com

ქვემო ქართლი:

- ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N197

598 90 00 73; 596 11 32 11
zurabashviliq983@gmail.com
merikotamazashvili@gmail.com

- ქ. თეთრიწყარო, რუსთაველის ქუჩა N27

577 90 39 54; 574 19 21 15
tyctetritskaro@gmail.com

კახეთი:

- ქ.თელავი, რუსთაველის გამზირი N93

577 20 84 89 meri_arjevanidze@kadc.ge
mariam_glakhoshvili@kadc.ge

- ქ. ლაგოდეხი, კოსტავას ქუჩა N14

577 15 52 38; 595 60 01 95
mziajavshanashvili@gmail.com
ekagongadze@gmail.com

6

პროფესიული უნარების სააგენტო

პროფესიული განათლების მიღება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების ხარისხზე და ზრდის დასაქმების შესაძლებლობებს. აუცილებელია, შშმ პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რასაც სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სასწავლო პროცესისა და ინფრასტრუქტურის სრულყოფა შეუწყობს ხელს. საჭიროა შშმ პირების მეტი ჩართულობა უმაღლეს, პროფესიულ და მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებში. პროცესების უკეთესი კოორდინაციისთვის საქართველოს მთავრობისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთობლივი ინიციატივით დაფუძნდა **პროფესიული უნარების სააგენტო,** რომელიც უპრეცედენტო და სრულიად ინოვაციური მართვის მოდელია პროფესიული განათლების განვითარების პროცესში. **სააგენტოს მიზანი:** თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა პროფესიული განათლებით დაინტერესებული თითოეული პირისათვის; საქართველოს პროფესიული განათლების მოქნილი სისტემის განვითარება საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერებით, რაც უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ბაზართან დაახლოებას და ეფექტურ კოორდინაციას.

იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა მიიღონ მათი სურვილის შესაბამისი პროფესიული განათლება, ჰქონდეთ დასაქმების მეტი შესაძლებლობა საჯარო თუ კერძო სტრუქტურებში, სააგენტო ახორციელებს შესაბამის მხარდამჭერ მექანიზმებს:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შშმ და სსსმ აპლიკანტებისთვის განსაზღვრულია გარკვეული რაოდენობის თავისუფალი ადგილი (კვოტა);
- შემუშავებულია სსსმ და შშმ პირებზე მორგებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შერჩევისა და მიღების მექანიზმი (ე.წ.პრაქტიკული მოსინჯვა);
- სწავლის პროცესში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სსსმ და შშმ სტუდენტებს მხარდაჭერას უწევს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (და სასწავლო პროცესის ასისტენტი).

აგრეთვე, ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით სტუდენტებს მიეწოდებათ

შესაბამისი მხარდამჭერი მომსახურებები:

- ✔ მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტის მომსახურება;
- ✔ გადაადგილების მხარდამჭერა (ტრანსპორტირების უზრუნველყოფა);
- ✔ ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურება;
- ✔ სტუდენტის ინდივიდუალური ასისტენტის მომსახურება;

პროფესიული სასწავლებლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა და რეგისტრაცია შესაძლებელია ვებგვერდზე: vet.emis.ge.